ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა

ქალაქი ხობი 2016 წლის 19 აგვისტო

15 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე არჩაია - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. მამუკა ბუკია - წევრი;
3. ლელა კიტია - წევრი;
4. თეა სოსელია - წევრი;
5. ჯონი ფარცვანია - წევრი
6. ბელა ქვარცხავა - წევრი, მდივანი;
7. იგორ ქირია - წევრი;
8. ნატო ცხადაია - წევრი;
9. მახარე ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
10. ზაზა ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
11. ანტონ ვარდია - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
12. გიორგი თათარიშვილი - შპს „ხობი დასუფთავება და განათება".

დღის წესრიგი:

1. „ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, სფერული სარკის დამონტაჟების შესახებ" წინადადების განხილვა (მომხსენებელი - ს. არჩაია; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე);

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, სფერული სარკის დამონტაჟების შესახებ" წინადადების განხილვა (მომხსენებელი - ს. არჩაია; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე);

მომხსენებელმა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ

გადაადგილების მიზნით, სფერული სარკის დამონტაჟების შესახებ ინიციატივა გააცნო.

მომხსენებლის განმარტებით, თ. ქაჯაიას და რკინიგზის ქუჩების (სარკინიგზო ხიდის ზურგთან გამავალი გზა) გადაკვეთაზე, არის მკვეთრი მოსახვევი, რაც ავარიის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის, ამასთან გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ინტენსიური მოძრაობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო ავარიების რისკის შემცირებისა და მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით მიზანშეწონილია სფერული სარკის დამონტაჟება.

აზრი გამოთქვეს: ჯონი ფარცვანია, თეა სოსელია - განაცხადეს, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, ხოლო სფერული სარკის დამონტაჟებით მგზავრობა ბევრად უსაფრთხო გახდება.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გამგებლისთვის რეკომენდაციის გაწევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

გადაწყვეტილება მიღებულია

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს გაეგზავნოს წერილი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე არჩაია